

**ბათუმი XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში
(დავით კლდიაშვილის მემუარების –
„ჩემი ცხოვრების გზაზე“ მიხედვით)**

**BATUMI IN THE 80S OF THE XIX CENTURY
(ACCORDING TO DAVIT KLDIASHVILI'S MEMOIRS
«ON THE WAY OF MY LIFE»)**

მაგდა ჭიკაბერიძე

თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი
ეკატერინე შაკიაშვილი
თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Magda Chikaberidze
Tbilisi Tecnical University
Georgia, Tbilisi
Ekaterine Shakiashvili
Tbilisi Tecnical University
Georgia, Tbilisi

ABSTRACT

The memoir of the great Georgian writer Davit Kldiashvili: „On the Way of My Life“ contains valuable information about Batumi in the eighties of the XIX century. The writer settled there in 1882. Batumi was then Porto-Franco - a port with the right of free import and export of foreign goods. Not only Georgians but also Abkhazians, Russians, Armenians, Greeks, Turks, and Negroes lived in the city. Before the railway was built and Batumi was connected to Tbilisi, traffic to the city was mainly by sea. As for the educational centers, there was a civic school and a Georgian school of the Georgian Literacy Society. It was opened in the second year of the annexation of Batumi to gather and teach Muslim Georgians.

After the opening of the railway (1883) and the abolition of Porto-Franco (1886), Batumi, as a „place to seek wealth“, was inhabited by people from all sides: Georgian or foreigner, rich or poor. The locals, the Muhajirs, left their homes and settled in Turkey.

The goal of the Russian government was to displace the natives and settle the Russians. The writer describes several such attempts, for example: near Batumi,

beyond Chorokhi, in so said Tkhilnari, the Russians settled quite a large village. They were given money, bread, and building materials, but the settlers could not tolerate the conditions here. They did not know how to grow corn, and the bread was stored in a damp place. They also contracted malaria. Those who survived fled without looking back. Instead, rich Russians settled on the shores of the Black Sea. Wealthy Armenians were also attracted by the city.

The memoirist particularly mentions the merits of the French agronomist, Michel D'Alfonse, and the German botanist, Resler. Wealthy villagers settled on the Green Cape under the leadership of

M. D'Alfonse. He was the first to grow tangerines and various foreign plants. Resler was the first gardener of Batumi Boulevard.

Davit Kldiashvili interestingly describes the irreversible process of urbanization. Many peasants from the villages came to Batumi because the factories needed workers. In this case, too, the Russian government sought to relocate the necessary people from within Russia while evacuating the inhabitants. Grigol Volski and Ivane Meskhi came to the rescue of the Georgian workers, who somehow eased their situation.

David Kldiashvili's memoirs are a very reliable historical source. It interestingly describes the metamorphosis that Batumi experienced in a short time, in the eighties of the XIX century.

საკვანძო სიტყვები: პორტო-ფრანკო, მუჰაჯირობა, მწვანე კონცხი, ბულვარი, ურბანიზაცია.

Keywords: Porto-Franco, Muhajir, Green Cape, Boulevard, Urbanization.

დავით კლდიაშვილმა მემუარულ ნაწარმოებში – „ჩემი ცხოვრების გზაზე“ შემოგვინახა ძვირფასი ცნობები ქალაქ ბათუმის შესახებ. მწერალმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ამ ქალაქში გაატარა; ის თავად იყო თვითმხილველი და უშუალო მონაწილე ბევრი ისტორიული მოვლენისა, რომლებიც მემუარებში აღწერა.

დავით კლდიაშვილი ბათუმში 1882 წლის დამლევს დასახლდა. იქ იდგა სამხედრო ნაწილი, რომელიც მან სამსახურისთვის აირჩია. როგორც მემუარისტი ამბობს, „ბათუმი მაშინ პორტო-ფრანკო¹ იყო; პატარა ქალაქი ოთხი ათასი მცხოვრებით“ (კლდიაშვილი 2013: 181). იქ ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები, თურქები და ზანგები.²

¹ 1878-86 წლებში ბათუმის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (უცხოური საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგურად), რამაც ხელი შეუწყო ქალაქის ზრდას (ქსე 1977: 148).

² „აქ ერთობ ნარევი ხალხი იყო: ბერძნები ბლომად, ოსმალები და სომხები. ყველას უნდოდა ბატონობა და ბათუმის ხელში ჩაგდება. მაშინდელი იქაური რუსობა ხომ ცნობილი შავრაზმელების კ ა ლ მ ი ს და დეკანოზი რ ა ლ ც ე ვ ი ჩ ი ს მეთაურობით ქართველების ძირიანად აღმოფხვრას ლამობდნენ ბათუმში“ (მგალობლიშვილი 1938: 186).

ბათუმი „მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები – ვითომ მალაზიები; რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ფაცხები, რომლებშიც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზოგან ზანგები“ (კლდიაშვილი 2013: 181). სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ და ქალაქი თბილისს შეუერთდებოდა, ბათუმთან მიმოსვლა, ძირითადად, ზღვით ხდებოდა. ფოთიდან კვირაში რამდენიმეჯერ გადიოდა პატარა გემები. ბათუმთან მიმოსვლას აძნელებდა პორტო-ფრანკოს სტატუსი. მგზავრების ბარგი ბევრჯერ მოწმდებოდა, რათა კონტრაბანდა აერიდებინათ. სამწუხაროდ, თავგასული და უპატიოსნო მებაჟეები ხშირად ავიწროებდნენ და ჩაგრავენდნენ მგზავრებს.

დავით კლდიაშვილის თქმით, ქალაქში არ იყო არავითარი გასართობი. ერთადერთი კულტურული ადგილი საზოგადო საკრებულო იყო. რაც შეეხება საგანმანათლებლო კერებს, აქ იყო სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. იგი ბათუმის შემოერთების მეორე წელსვე გაიხსნა, რათა თავი მოეყარათ და ესწავლებინათ მუსლიმანი ქართველებისათვის. აჭარლებს შვილების გაქრისტიანების ემინოდან და თავდაპირველად ქართულ სკოლაზე უარს ამბობდნენ.

მემუარისტი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს ბათუმის პოლიცემისტერის, დურმიშხან ჟურულის ოჯახსა და მის დიასახლისს – ქეთევან ჟურულს. ამ ოჯახში იკრიბებოდა ქართველი საზოგადოება (მწერლები, მსახიობები...). აქ იზადებოდა და ხორციელდებოდა ბევრი ქართული საქმე. ბათუმში ჩასული ყველა ქართველი ინტელიგენტი თავს მოვალედ რაცხდა, ჟურულების ოჯახს სტუმრებოდა. ახალგაზრდა ოფიცერი დავით კლდიაშვილიც არ იყო გამონაკლისი. მემუარისტის თქმით, როდესაც იგი ქეთევან ჟურულს წარუდგინეს, მან უსაყვედურა ჩიქორთული ქართულის გამო და ურჩია, მშობლიური ენა შეესწავლა; რამდენიმე დღეში კი საქმეში ჩართო და როლი მისცა სპექტაკლში, რომელიც ქართული სკოლის დასახმარებლად იმართებოდა.

დავით კლდიაშვილის გადმოცემით, ბათუმში კიდევ იყო იასე გურიელის ოჯახი, სადაც თავს იყრიდა ქართველობა, მაგრამ არა – მწერლები და მსახიობები, როგორც ჟურულისას.

მემუარისტის თქმით, ბათუმის დუნე ცხოვრებას აცოცხლებდნენ არტისტები, რომლებიც თბილისიდან ჩამოდიოდნენ. ქალაქში თეატრი არ იყო და სპექტაკლები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდებარე პატარა შენობაში, რომელიც ასიოდე კაცს თუ დაიტევდა.

მემუარისტი დაწვრილებით აღწერს თანმდევ მოვლენებს, რომლებიც რკინიგზის გახსნასა (1883) და პორტო-ფრანკოს გაუქმებას მოჰყვა (1886). ბათუმს, როგორც „საშოვარ ადგილს“, ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა: ქართველი თუ უცხოელი, მდიდარი თუ ღარიბი. „საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად. ვინ არ იყო ამაში ჩაბმული!“ (183).

მიწას, ძირითადად, ყიდულობდნენ ან ემშაობით ხელში იგდებდნენ ადგილობრივებისაგან (მუჰაჯირებისაგან), რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელს და თურქეთში სახლდებოდნენ.³

ბედის მაძიებლები არ ერიდებოდნენ არც ჭაობს და არც ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერს. მემუარისტის ცნობით, ამ მხრივ ყველასგან გამორჩეული კაცი იყო მეზალე დალფონსი⁴: „ახალგაზრდა, ლამაზი, მოხდენილი მოლაპარაკე, დაულალავი მუშა, მცოდნე თავისი საქმის, უცნაური მოხერხებული – იგი დიდი გავლენის მქონე იყო მოაგარაკეთა შორის“ (კლდიაშვილი 2013: 184). მწვანე კონცხზე მისი თაოსნობით დასახლდნენ მდიდარი და გავლენიანი მოაგარაკენი მოსკოვ-პეტერბურგიდან, მაგალითად: თავადი ბარათიანსკი, გენერალი პარაიკოში, ექიმი ტრიანდაფელიდისი და ა. შ. დალფონსმა აქ პირველმა გააშენა მანდარინი და სხვადასხვა უცხო მცენარე. სამწუხაროდ, დიდხანს არ დასცალდა და ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი ციებას ემსხვერპლა.

მემუარისტის თქმით, დიდი ადგილი შეისყიდა ცნობილმა ჩაის ვაჭარმა პოპოვმა, რომელმაც დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება და რამის – ჩინური ჭინჭრის მოყვანა. რამისაგან ქალაქის ფულისთვის მზადდებოდა საუკეთესო ქალაქი.

დავით კლდიაშვილის თქმით, მთავრობა ხელს არ უშლიდა აგარაკების გაშენებას, პირიქით. მისი მიზანი იყო ადგილობრივი მცხოვრებლების აყრა და რუსების ჩასახლება. ზღვის პირას, სოფელ მახინჯაურიდან თითქმის ქობულეთამდე, ოცი ვერსის სიგრძეზე გაშენებულ აგარაკებში მხოლოდ ერთადერთი აგარაკი ეკუთვნოდა ქართველს, სევასტი ჭელიძეს. ბევრს ეცადნენ მის აქედან მოშორებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

მემუარისტის გადმოცემით, ბათუმის მახლობლად, ჭოროხის გაღმა, ე.წ. თხილნარში რუსებს გაუმართეს გვარიანი სოფელი. მათ მისცეს ფული, პური და საშენი მასალა, მაგრამ ჩამოსახლებულები აქაურ პირობებს ვერ შეეგუენ. მათ სიმინდის მოყვანა არ იცოდნენ, პური კი ნესტიან ადგილას ჩაულპათ. თან მალარია შეეყარათ. ვინც გადარჩა, უკანმოუხედავად გაიქცა და მთავრობის ამდენი ხარჯი წყალში ჩაიყარა.

³ 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, საქართველოს შეუერთდა ისტორიული ქართული პროვინციები. ამ ტერიტორიის მოსახლეობას უფლება ეძლეოდა სამი წლის განმავლობაში გაეყიდა თავისი ქონება და თურქეთში გადასახლებულიყო. მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა მურღულის ხეობა, ბევრი გადასახლდა ქვემო გურიიდან, გონიოს უბნიდან, ქვემო აჭარიდან. სულ წავიდა 150 000 სულზე მეტი ქართველი. საზოგადოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის შესაწყვეტად. გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთელმა, ს. მესხმა, გ. გურიელმა და სხვ. ქართულმა პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ამის შედეგად გადასახლების პროცესი შენედა და მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა (ქასე 1984: 234).

⁴ 1885 წელს ფრანგი დიდგვაროვანი მიხეილ დალფონსი დაინიშნა ბათუმის ბულვარის მმართველად. მის სახელს უკავშირდება ბულვარის ფრანგულ სტილში განაშენიანება. 2012 წელს ბათუმის ბულვარში მიხეილ დალფონსის ბრინჯაოს ქანდაკება დაიდგა.

მემუარისტი აღწერს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც მთავრობამ მოინდომა მურღულის ხეობელების აყრა და იქ რუსების ჩასახლება. აქაურები კარგად ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ჩინებულად აგებული სახლები, მოსდიოდათ კარგი მოსავალი, ჰვავც მშვენიერი იყო. მთავრობას გეგმა შემუშავებული ჰქონდა, მაგრამ განკარგულების გამოცხადებას აყოვნებდა, შიშობდა, რომ ეს ამბავი უბრალოდ არ ჩაივლიდა და დიდი არეულობა მოჰყვებოდა. ბოლოს განკარგულების გამოცხადება დაავალეს ქართველ მოხელეს, ტყის გამგეს, ალექსანდრე აბაზაძეს, რომელმაც მტკიცე უარი განაცხადა. ამასობაში მურღულელებმაც შეიტყვეს მთავრობის განზრახვის შესახებ და შეიარაღება დაიწყეს. საბოლოოდ განკარგულება გაუქმდა. აბაზაძეს კი არ ეპატია წინააღმდეგობა და სულ უბრალო მიზეზის გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ ბათუმმა მალე იცვალა იერსახე. მწერლის თქმით, ქალაქის ახალმა პოლიცემისტერმა, პოდპოლკოვნიკმა ვოზნესენსკიმ, დიდი ენერჯია დახარჯა ბათუმის გასალამაზებლად. ფოთიდან მან გადმოიყვანა პროფესიონალი მეზაღე, გერმანელი რესლერი, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე მოხუცი. განიერი ქუჩების განაპირას დარგეს ჭადრები, ქვიშიან სანაპიროზე კი ბულვარის კეთებას შეუდგნენ. ხალხი სკეპტიკურად იყო განწყობილი, სიპ ქვაზე რა ბულვარი უნდა გაშენდესო, მაგრამ ვოზნესენსკი და რესლერი უკან არ იხევდნენ: აყრიდნენ ქვიშას ურმებით მოზიდულ მიწას და რგავდნენ მცენარეებს. მრავალწლიანმა თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო: „ზღვის ნაპირზე გადაიშალა ლამაზი, ნორჩი ბულვარი, შემდეგში ბათუმის მშვენიერად ქცეული“ (კლდიაშვილი 2013: 213).

მემუარისტის გადმოცემით, დიდი ცილობა იყო ქალაქში სახლების შენებაზე. ქალაქის არქიტექტორი რუსაპეტი კარცევი აქ იწვევდა შეძლებულ რუსებს და ებრძოდა ადგილობრივებს. იგი ქართველებისადმი თავის დამოკიდებულებას არც მალავდა. ქალაქს ეტანებოდა მდიდარი სომხობაც ართვინიდან. მათ შეიძინეს დიდი ადგილი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებისაგან, რომლებიც მთავრობისგან ფრიად შევიწროებულნი იყვნენ და ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად თავიანთ ქონებას მუქთად ყიდდნენ.

მწერლის თქმით, ბათუმი ისე გადიდდა და გაშენდა, რომ დღის წესრიგში დადგა ქალაქის თვითმმართველობის შემოღების საკითხი (აღრე ქალაქს პოლიცემისტერი განაგებდა). ქუთაისის გუბერნატორ გენერალ გერშელმანის წარდგენით, 1888 წელს გაუქმდა პოლიციის მმართველობა და შემოღებულ იქნა ქალაქის თვითმმართველობა იმ განსხვავებით, რომ პირველი ქალაქისთავი მთავრობის მიერ უნდა დანიშნულიყო. ასეთ პირად დანიშნა თბილისელი მოხელე გავრონსკი, „პრიკაზის“ ყოფილი გამგე. მან ქართული მშვენივრად იცოდა და აქაურობასაც კარგად იცნობდა. რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარდა არჩევნები. არჩეული ხმოსნების შემადგენლობა ჭრელი იყო: რუსი, სომეხი, ბერძენი და მცირეოდენი ქართველი. ქალაქის

გამგეობის წევრებად აირჩიეს რუსები. შემდეგ ერთმა უარი განაცხადა და მას ჩაანაცვლეს სომეხი. დიდი გაჭირვებითა და ვაივაგლახით გამგეობის მდივნად გაიყვანეს ქართველი კაცი – ივანე მესხი, მმა სერგეი მესხისა. ივანე მესხი მანამდე ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წევრი იყო და, შესაბამისად, სათანადო გამოცდილებაც ჰქონდა. მის გაყვანას დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა ჰქონდა ქართველებისათვის. „მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მომქმედი – იგი სული და გული შეიქნა ახლად შემოღებული თვითმმართველობისა“ (კლდიაშვილი 2013: 215).

მემუარისტი გულისწყვეტით აღნიშნავს, რომ ქალაქის თვითმმართველობის წევრთა უმეტესობა ფულიანი პირები იყვნენ, „შემოხიზნულნი უფრო ჯიბის გასასქელებლად“ (იქვე: 215). მათ ადგილობრივთა ბედი ნაკლებად აინტერესებდათ. ეს უფრო თვალშისაცემი გახდა, როცა გავრონსკი გადადგა და მის ადგილას ვინმე კაიანდრა დაინიშნა. „ეს იყო ყოფილი მოსამართლე, ლიბერალი, განვითარებული, ენამახვილი, დაუღალავი მუშა, მცოდნე პიროვნება, მაგრამ ამასთანავე მეტისმეტი შოვინისტი, რომელსაც არავითარი პატივისცემა არ ჰქონდა სხვა ეროვნებისადმი, განსაკუთრებით ქართველობისადმი. მას ვერ წარმოედგინა, თუ ქართველ კაცს რაიმეს გაკეთება შეეძლო ან მუშაობის უნარი ჰქონდა. ქართველს ისე უყურებდა, როგორც უნიჭო, უგონო არსებას“ (იქვე).

მწერლის თქმით, ქართველობის უნიათობა და გონებრივი სისუსტე საერთო აზრი იყო. ლამის ქართველებსაც დაეჯერებინათ და გაეზიარებინათ ეს მოსაზრება.

მემუარისტის გადმოცემით, იმხანად გლეხები ტოვებდნენ სოფლებს და ქალაქებში მოდიოდნენ უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებიდან განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოაწყდა ბათუმს, რადგან აქაურ ქარხნებში მუშახელი სჭირდებოდათ. რუსული მთავრობა ამ შემთხვევაშიც ცდილობდა, საჭირო ხალხი რუსეთიდან გადმოესახლებინა, ხოლო მკვიდრნი მოეშორებინა. მაგალითად, ბათუმის განაპირა უბანში, ე.წ. გოროდოკში, არარუსს ადგილის ყიდვისა და სახლის აშენების უფლებას არ აძლევდნენ. ქალაქში შემოხიზნულს ერთადერთი ადგილი ჰქონდა დასაბინავებლად – როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზე.

როგორც დ. კლდიაშვილი გვამცნობს, ქართველი მუშები დიდ გასაჭირში იმყოფებოდნენ. საჭირო იყო ისეთი კაცი, ვინც მათს უფლებებს დაიცავდა და მძიმე ხვედრს ერთგვარად შეამსუბუქებდა. ასეთიც გამოჩნდა – ეს იყო გრიგოლ ვოლსკი. მან და ივანე მესხმა დიდი სამსახური გაუწიეს აქაურ ქართველობას, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს.

დავით კლდიაშვილის მემუარები არის ძვირფასი ისტორიული წყარო. მემუარისტი არ დალატობს სიმართლეს. იგი შექმნილ ვითარებას

დაწვრილებით აღწერს და უაღრესად სანდოა. მოგონებები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების ბათუმის შესახებ, რომელიც, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. მოგონებებში საინტერესოდ არის აღწერილი ის მეტამორფოზა, რომელიც ბათუმმა მოკლე დროში განიცადა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ევგენიძე... 2013: ევგენიძე, ი., მინაშვილი, ლ., ქართული ლიტერატურა ოთხ ტომად, ტ. II. თბილისი, 2013.
- კლდიაშვილი 2013: კლდიაშვილი დ., პიესები, მემუარები, ორტომეული, ტ. II. თბილისი, 2013.
- მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., მოგონებანი. ტფილისი, 1938.
- ქსე 1977: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II. თბილისი, 1977.
- ქსე 1984: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII. თბილისი, 1984.
- ჭიქაბერიძე 2020: ჭიქაბერიძე, მ., XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა. თბილისი, 2020.